









ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ01.01220634**
თარიღი:**04/03/2022**
პინი:**9598**
გადააამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.439 (ნაკვეთი N1/128)) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისა და საოფისე ფუნქციის დაშვების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220352110-67 (N01220533464-67) განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.439 (ნაკვეთი N1/128)) მრავალფუნქციური შენობის (საოფისე, კომერციული, საცხოვრებელი) განთავსებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისა და საოფისე ფუნქციის დაშვების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220352110-67 (N01220533464-67) განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01220631**
თარიღი: **04/03/2022**
პინი: **2136**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01220533464-67
განცხადების თარიღი:	22/02/2022
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.14.15.001.439
მისამართი :	ქალაქი თბილისი , "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით , (ნაკვეთი N1/128)
მესაკუთრეები :	შპს "გიანთი პალასი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ვალერიან ვარდანია
პირადი ნომერი :	62006010822
მისამართი :	გალი ს. პირველი გალი
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	დავით ტუღუში
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალფუნქციური შენობა (საოფისე, კომერციული, საცხოვრებელი)
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	3680.0

მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ საგაძრხაკლისოდ დასაშვები საოფისე ფუნქციით გახვითარებას. (იგეგძება მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა სადაც ერთერთი ფუნქცია საოფისეს წარმოადგენს , რისტვისაც ვითხოვთ ფუნქციის დაშვებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	განმარტებითი ბარათი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს ინტენსიფიკაციის ქუჩაზე, დელისი III საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ემიჯნება ყოფილი ინტენსიფიკაციის (ამჟამად ე. ამაშუკელის) ქუჩა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ემიჯნება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთის მხრიდან ი. აბულაძის ქუჩა. საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2392 კვ.მ-ს. ქ. თბილისის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სსზ3). წარმოდგენილი კვლევა მოიცავს საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიას ამაშუკელის და აბულაძის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიას, . საკვლევი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქგეგმარებითად განუვითარებელია, ნაწილი განვითარებულია საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული ფუნქციებით, ხოლო ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი ავტოტექმომსახურებისა და ავტოგასამართი ფუნქციებით. მრავალბინიანი საცხოვრებელი და საოფისე ფუნქციებით განვითარების ტენდენცია შეიმჩნევა ამაშუკელის ქუჩის ჩრდილოეთ ნაწილში, რაც დასაშვებია გენგეგმის ფუნქციური ზონირების რუკის შესაბამისად, ასევე არსებული განვითარებული სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა სრულიად უზრუნველყოფს საცხოვრებელი და კომერციული ფუნქციებით განვითარების შესაძლებლობას. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით გადაწყვეტილია მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, რომელიც შედგება კომერციული და მრავალბინიანი საცხოვრებელი და ასევე საოფისე ფუნქციის მქონე შენობისგან. მიწისქვეშა სართულით (ავტოსადგომებისთვის). ქ. თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად საცხოვრებელ ზონა 3-ში შესაძლებელია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა. ვინაიდან ჩვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტით გათვალისწინებულია: • -კანონმდებლობით გათვალისწინებული მათ შორის საოფისე ფუნქციით განვითარებას ; საჭიროა სპეციალური შეთანხმება საოფისე ფუნქციის დაშვებასთან და ასევე მიწის ნაკვეთის პარამეტრებიმა და მისმა გაბარიტებმა მოგვცეს ტერიტორიაზე დასაშვები სახეობების შესაბამისად განვითარება
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) შენობა
	,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის- რუკის თანახმად, №01.14.15.001.439 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3); სზ-3 - დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. კოეფიციენტები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ1-0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2-1.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ3-0.3 შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრი, წარმოდგენილ ზონაში მოქმედი კანონმდებლობით სამშენებლო განვითარებისთვის მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 300/400*, მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე 9/12*, მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე 20/25*,

გადაწყვეტილების დასაბუთება :	* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით ნაკვეთი მდებარეობს გეგმარებით კარკასზე (გკ) ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის სიღრმე ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ნორმას, მოთხოვნილია განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, ამასთან ერთ-ერთი საპროექტო ფუნქციური სახეობა- საოფისე საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) წარმოადგენს საგამონაკლისოდ დასაშვებ ფუნქციურ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. საპროექტო წინადადებით იგეგმება მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) შენობის მშენებლობა. საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს გეგმარებით კარკასზე, საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ემიჯნება ე. ამაშუკელის ქუჩა, დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთის მხრიდან ი. აბულაძის ქუჩა. საკვლევი ტერიტორიის ნაწილი გაუნაშენიანებელია, ნაწილი კი განაშენიანებული შერეული ფუნქციებით, კერძოდ საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული, ავტოტექმომსახურებისა და ავტოგასამართი. საპროექტო ნაკვეთი ხასიათდება რთული რელიეფით, მოქცეულია მაღალი საშიშროების გეოლოგიურ ზონაში. განაცხადზე თანდართულია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, შესაბამისი რეკომენდაციებით, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის პროცესში. საპროექტო მიწის ნაკვეთის დასავლეთით განთავსებულია გაზგასამართი სადგური, შესაბამისად, მშენებლობისას გათვალისწინებული უნდა იყოს „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებით) მოთხოვნები და ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ თაობაზე (N41 28.01.2016)
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული 24-ე მუხლის თანახმად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. ამავე განაშენიანების წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)-ში, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. ნაკვეთი უზრუნველყოფილია გამართული სატრანსპორტო ქსელით, არ არის გამწვანებული, მასზე იგეგმება ზონის შესაბამისი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა (მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრი), რაც არ ცვლის განაშენიანების ქალაქგეგმარებით ხასიათს და არ ეწინააღმდეგება არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. ამასთან, ვინაიდან საკვლევ ტერიტორიაზე ფიქსირდება შერეული ფუნქციები, მათ შორის საზოგადოებრივი, საპროექტო მიწის ნაკვეთზე საგამონაკლისო საოფისე ფუნქციის დაშვება შესაძლებელია განხილულ იქნეს ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, ამასთან, აღნიშნული ფუნქციით არ შეიცვლება ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) შენობის განთავსებისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისა და საოფისე ფუნქციის დაშვების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია. ამასთან, დაცული უნდა იყოს გეოლოგიური დასკვნის რეკომენდაციები და გაზგასამართ სადგურთან მშენებლობის და უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა, რასთან დაკავშირებითაც, მშენებლობის ნებართვის შესაბამის ეტაპზე წარდგენილ უნდა იქნეს ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის პოზიცია.

სააგენტოს უფროსი



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

Номер: 0406/481/22

Дата: 06/04/2022

მოქ. გიორგი ვეკუას

31.03.2022 #0331/685/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.14.15.001.439) არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ არ გადის სს თელასის" ბალანსზე რიცხული ელექტროგადამცემი ხაზები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს. შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

IN22-0623941



7 აპრილი 2025.

№ 0622-0624696 D 11.04.2022

ბატონ გიორგი ვეკუას
ელ-ფოსტა: giorgi-vekua@yandex.ru; vvardania@gmail.com
ტელეფონი: 597 92 51 92; 574 44 04 46

ბატონო გიორგი,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში „კომპანია") განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში" რეგისტრირებული IN22-0623941, დათარიღებული 06/04/2022წ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.15.001.439) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის" შესაბამის სამსახურთან. „კომპანია" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია" ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის" წარმომადგენელს:

ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალიანი, ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)

შპს „გრინლაინი“ LTD "Greenline"
თბილისი/Tbilisi, +995 577 99 55 66 ს/კ 404 541 867 konstantine_k@yahoo.com

23.08.2021 წ.

მისამართი: ქ. თბილისი, დელისი 3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ნაკვეთი N 1/128 ;

საკადასტრო კოდი: N 01.14.15.001.439;

ფართობი: 2392 კვ.მ.

დამკვეთი: შ.პ.ს. „გიანთი პალასი“;
პ.ნ. N 405128268

ხე - მცენარეების აღრიცხვის უწყისი

N	სახეობა	გარშემოწ. 10 სმ-ზე	დიამეტრი 10 სმ-ზე	დახასიათება	შენიშვნა
1	აკაკი	22	7,0	მრავალღეროიანი	საღი
2	კაკალი	34	10,8	ორკაპი	საღი
3	ქლიავი	28	8,9	მრავალღეროიანი	საღი
4	ქლიავი	39	12,4	მრავალღეროიანი	საღი
5	ვაშლი	22	7,0	მრავალღეროიანი	საღი
6	თხმელა	23	7,3	მრავალღეროიანი	საღი
7	ნუში	77	24,5		ზეხმელი
8	იუდას ხე	25	8,0	მრავალღეროიანი	საღი
9	სოფორა	59	18,8	სამკაპი	საღი
10	აკაკი	43	13,7	სამკაპი	საღი
11	აკაკი	35	11,1	სამკაპი	საღი
12	იფანი	33	10,5		საღი
13	ბროწეული	19	6,1	მრავალღეროიანი	საღი
14	ბროწეული	17	5,4	მრავალღეროიანი	საღი
15	ძეძვი	21	6,7	მრავალღეროიანი	საღი


4-4
3.86
11.92
ქუჩის შუა ღერძი
ფასადის საანგარიშო სიბრტყე
ე. ამაშუკელის ქუჩა
01.14.15.001.439
01.14.15.001.439
3635 მ²
3115 მ²
1.14.15.001.213
ი. აბულაძის ქუჩა

ჭრილი 1-1



მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებელი, 29.80 მ.
ფასადის საანგარიშო სიბრტყე
ქუჩის შუა ღერძი
მიწის ნაკვეთის რელიეფის 15.0
მეტრიანი სიმაღლის პროექცია
მიწის ნაკვეთის რელიეფის 15.0
მეტრიანი სიმაღლის პროექცია
H=29.80 m.
15.00
14.27
14.49
9.17
10.42
15.00
H=11.90 m.
3.86
ა
ბ
გ
დ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01220952795**
თარიღი: **05/04/2022**
პინი: **1049**

ადრესატი: ვალერიან ვარდანია
პირადი ნომერი: 62006010822
მისამართი: გალი ს. პირველი გალი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო ვალერიან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2022 წლის 31 მარტის №01220902201-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2022 წლის 31 მარტის №01220902201-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.14.15.001.439) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ პასაჟის მიმდებარედ შენარჩუნებული იქნება ტროტუარები.

შენიშვნა: წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპზე წარმოსადგენია სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟის, შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობისა და მშენებლობის პერიოდში არსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემები.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/xChLXhis0w2TJOh

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 4 22 00905894

06/04/2022

მოქ: ვარდანია ვალერიან
ქ თბილისი გორგასლის 51 ბ N12
თქვენს 2022 წლის 06 აპრილის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ.თბილისი, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.14.15.001.439) საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი მუდმივი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის (05.04.2022 წ. 16-01220952795) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას, ხოლო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით თანდართული სქემის შესაბამისად.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემები (სამუშაოების წარმოების და შესასვლელ-გამოსასვლელის გზების მოწყობის).

დანართი: სქემა 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ე. ამაშუკელის ქუჩის მიმდებარედ
(ს.კ 01.14.15.001.439)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (გაკის ეტაპი).

თარიღი: 2022 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	გიორგი ვეკუა

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ნიკა სიდამონიძე
ტელ: 598-77-88-48

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 2.1 - $2_{ც}$
- 2.3 - $2_{ც}$
- 4.1.4 - $2_{ც}$
- 4.1.5 - $2_{ც}$
- 5.5 - $1_{ც}$
- 5.19.1-$8_{ც}$
- 5.19.2- $8_{ც}$
- 7.4 - $1_{ც}$
- 8.6.1 - $1_{ც}$

პირობითი აღნიშვნები



შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დადგენილების ძვეთავი 406 -ის მიხედვით.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

16	აკაცია	25	8,0	მრავალღეროიანი	საღი
17	აკაცია	62	19,7	სამკაპი	საღი
18	აკაცია	23	7,3	მრავალღეროიანი	საღი
19	ჭერამი	39	12,4	ორკაპი	საღი

სულ ტერიტორიაზე აღირიცხა 19 ერთეული მწვანე ნარგავი, მათ შორის: აკაკის ხე - 3 ერთეული, აკაცია თეთრი - 3 ერთეული, ბროწეული - 2 ერთეული, ვაშლი - 1 ერთეული, თხმელა - 1 ერთეული, იუდას ხე - 1 ერთეული, იფანი - 1 ერთეული, კაკალი - 1 ერთეული, ნუში - 1 ერთეული, სოფორა - 1 ერთეული, ქლიავი – 2 ერთეული, ძეძვი - 1 ერთეული და ჭერამი - 1 ერთეული.

საიდანაც, 1 ერთეული ხე-მცენარე (N7 ნუში) იმყოფება ზეხმელ მდგომარეობაში.

6 ერთეული ხე-მცენარე (N 3 ქლიავი, N 4 ქლიავი, N5 ვაშლი, N13 ბროწეული, N14 ბროწეული, N19 ჭერამი) მიეკუთვნებიან ხილ–კენკროვან ხე–მცენარეთა კატეგორიას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჭრის ან გადარგვის ნებართვას არ საჭიროებენ.

რაც შეეხება 12 ერთეული ხე-მცენარეს (N 1 აკაკი, N2 კაკალი, N6 თხმელა, N8 იუდას ხე, N9 სოფორა, N10 აკაკი, N11 აკაკი, N12 იფანი, N15 ძეძვი, N16 აკაცია, N17 აკაცია, N18 აკაცია) განეკუთვნებიან 25-სმ მდე დიამეტრის კატეკორიის ხე – მცენარეებს და საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარებიან გადარგვას სხვა ალტერნატიულ ადგილზე, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით, კერძოდ წინასწარ ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება კომის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ გამზადებულ ორმოში. ვინაიდან ხე-მცენარეები არიან მცირე ზომის მათი გახარების შანსი საკმაოდ დიდია.

იხილეთ ფოტომასალა:


1






2


3






4


5




6




7






8


9






10




11




12













შემსრულებელი: / ს. ფიცხელაური /

მეტყევე-ინჟინერი,

/ექსპერტი/



ს/კ: 01025015751 მის. თბილისი, ღრმაღელეს მიმდებარე ტერიტორია, ბ ბლოკი, ელ. ფოსტა: shalvaaptsiauri12@gmail.com ტ. 568 58 44 58

დ ე ნ დ რ ო პ რ ო ე ქ ტ ი

საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2392კვ.მ
მესაკუთრე(ები): შ.პ.ს. "გიანთი პალასი" (ს/ნ 405128268)

შემასრულა  შ. აფციაური

2021 წ.

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)
სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს
მიწის საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო. ფართობი - 2392 მ^2
დამკვეთები და მესაკუთრეები: შ.პ.ს. "გიანთი პალასი" (ს/ნ 405128268)

ტერიტორიაზე აღირიცხა 19 ერთეული მწვანე ნარგავი, მათ შორის: აკაკის ხე - 3 ერთეული, აკაცია თეთრი - 3 ერთეული, ბროწეული - 2 ერთეული, ვაშლი - 1 ერთეული, თხმელა - 1 ერთეული, იუდას ხე - 1 ერთეული, იფანი - 1 ერთეული, კაკალი - 1 ერთეული, ნუში - 1 ერთეული, სოფორა - 1 ერთეული, ქლიავი - 2 ერთეული, ძეძვი - 1 ერთეული და ჭერამი - 1 ერთეული.
საიდანაც, 1 ერთეული ხე-მცენარე (N7 ნუში) იმყოფება ზეხმელ მდგომარეობაში.
6 ერთეული ხე-მცენარე (N 3 ქლიავი, N 4 ქლიავი, N5 ვაშლი, N13 ბროწეული, N14 ბროწეული, N19 ჭერამი) მიეკუთვნებიან ხილ-კენკროვან ხე-მცენარეთა კატეგორიას, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჭრის ან გადარგვის ნებართვას არ საჭიროებენ.
რაც შეეხება 12 ერთეული ხე-მცენარეს (N 1 აკაკი, N2 კაკალი, N6 თხმელა, N8 იუდას ხე, N9 სოფორა, N10 აკაკი, N11 აკაკი, N12 იფანი, N15 ძეძვი, N16 აკაცია, N17 აკაცია, N18 აკაცია) განეკუთვნებიან 25-სმ მდე დიამეტრის კატეკორიის ხე - მცენარეებს და საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარებიან გადარგვას სხვა ალტერნატიულ ადგილზე, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით, კერძოდ წინასწარ ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება კომის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ გამზადებულ ორმოში. ვინაიდან ხე-მცენარეები არიან მცირე ზომის მათი გახარების შანსი საკმაოდ დიდია.

შენიშვნები:

გადარგვა მოხდება უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით დამკვეთის მიერ შერჩეულ ადგილზე. ყველა ხე-მცენარის გარშემო მიწა მოითხრება 20 - 70 სმ-ის რადიუსით, ორმოს სიღრმე იქნება იმ ზომის გათვალისწინებით, რომ ფესვთა სისტემა მიწის კომთან ერთად უნდა იყოს ხის სიმაღლის მესამედი, მიწა რომ არ დაიშალოს, უნდა ჩაიდოს ტომარაში და მოეკრას პირი. გადარგვა უნდა მოხდეს გათხრილ ორმოში იმ პირობით, რომ ორმოს სიგანე და სიღრმე უნდა იყოს საკმარისი, რომ გადარგული ხის ფესვები თავისუფლად ჩაეტიოს ორმოში.

გადარგვიდან ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად უნდა მოირწყას ხეები, გაუფხვიერდეს მიწა ღეროს გარშემო, გაუკეთდეს ჯამი წყლის (წვიმის წყლისთვისაც) შესაკავებლად. გადარგული ხეების მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზე. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში, ანუ ყოველ მესამე დღესდილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე უნდა მოირწყას იმ ანგარიშით, რომ ყოველი ხის ნიადაგმა ცალ-ცალკე ერთი ვედროს (10 ლიტრი) ოდენობის წყალი შეიწოვოს.

მ.მ. შალვა აფციაური			ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)				
დამკვეთი	ალექსანდრე აფციაური		დენდროპროექტი	2021			
შეასრულა		შ. აფციაური	განმარტებითი ბარათი	სტადია	ფურცელი	ფურც. რაოდენობა	მასშტაბი
			შალვა აფციაურის დასკვნა 24.03.2022				



ტოპო გეგმა
არსებული მწვანე ნარგავები
მ 1:400

საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2392 კვ.მ
მესაკუთრე: შ.პ.ს. "გიანთი პალასი" (ს/ნ 405128268)

პირობითი ნიშნები:

ჯანსაღი
ზეხმელი
ხმობადი
საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
ნაკვეთების საზღვრები
000 000 WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — საცხ. შენობა
ქა — არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარე შენობა
სატრანსპორტო ჯიხური

ხის ღობე
ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
თგ — გათბობა

წ — წყალგაყვანილობა
გ — გაზი
კ — კანალიზაცია
სან — სანიაღვრე
კგ — კავშირგაბმულობა
ელ. ქსელები

გარე განათება
სამეთვალყურეო ჭები
პალმა
ვაზი
სურო
ფოთლოვანი ხე
ხილკენკროვანი ნარგავი
წიწვოვანი ხე
ბუჩქი
ბალახი
ძირკვი

მ.მ. შალვა აფციაური	
დენდროპროექტი	
დამკვეთი	ალექსანდრე აფციაური
შეასრულა	შ. აფციაური
საფუძველი	შალვა აფციაურის დასკვნა 24.03.2022

ტოპო გეგმა

მოსაჭრელი და გადასარგავი მწვანე ნარგავები

მ 1:400

საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2392 კვ.მ
მესაკუთრე: შ.პ.ს. "გიანთი პალასი" (ს/ნ 405128268)



პირობითი ნიშნები:

- ხელუხლებელი
- მოსაჭრელი
- გადასარგავი
- საპროექტო შენობა
- გამწვანება
- საპროექტო შენობიდან 3.0 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო შენობიდან 1.5 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ნაკვეთების საზღვრები
- WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს	საცხ. შენობა		ხის ღობე	წ	წყალგაყვანილობა
ქა	არასაცხ. შენობა		ღობე	გ	გაზი
	ფარდული		ქვის კედელი	კ	კანალიზაცია
	მშენებარე შენობა		კედელი	სან	სანიაღვრე
	სატრანსპორტო ჯიხური		ფლატე	კგ	კავშირგაბმულობა
			რკინიგზა		ელ. ქსელები
		თგ	გათბობა		

გარე განათება
სამეთვალყურეო ჭები
პალმა ვაზი სურო
ფოთლოვანი ხე ხილკენკროვანი ნარგავი
წიწვოვანი ხე
ბუჩქი ბალახი ძირკვი

მ.მ. შალვა აფციაური

დენდროპროექტი

დამკვეთი		
შესრულა		შ. აფციაური
საფუძველი		ნარგავი აფციაურის დასკვნა 24.03.2022



საპროექტო გენ-გეგმა კვ-ს ფართის დატანით მ 1:400

საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2392 კვ.მ
მესაკუთრე: შ.პ.ს. "გიანთი პალასი" (ს/ნ 405128268)

ნაკვეთზე ვრცელდება: - ფუნქციური ზონა(ზონები): საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
$კ^3$ = 0.4

საპროექტო ტერიტორიის კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში)

კ3=562 მ² კ3=562/1287=0,43

პირობითი ნიშნები:

- გამწვანება
- საპროექტო შენობიდან 3.0 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო შენობიდან 1.5 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ნაკვეთების საზღვრები
- WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს	საცხ. შენობა
ქა	არასაცხ. შენობა
	ფარდული
	მშენებარე შენობა
	სატრანსპორტო ჯიხური
	ხის ღობე
	ღობე
	ქვის კედელი
	კედელი
	ფლატე
	რკინიგზა
თგ	გათბობა
წ	წყალგაყვანილობა
გ	გაზი
კ	კანალიზაცია
სან	სანიაღვრე
კგ	კავშირგაბმულობა
	ელ. ქსელები

გარე განათება
სამეთვალყურეო ჭები
პალმა ვაზი სურო
ფოთლოვანი ხე ხილკენკროვანი ნარგავი
წიწვოვანი ხე
ბუჩქი ბალახი ძირკვი

მ.მ. შალვა აფციაური

დენდროპროექტი

დამკვეთი		
შესრულებული		შ. აფციაური
საფუძველი		მწვანე აფციაურის დასკვნა 24.03.2022

სამუშაოთა მოცულობა

№	სამუშაოთა მოცულობა	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	არსებული ხეების ფორმირება (გამხმარი ტოტების მოჭრა, გასხვლა)	ცალი	26	
2	არსებული ხეების და ბუჩქების გადარგვა საპროექტო ტერიტორიაზე	ცალი		
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში. (ორმოს ზომა 1.0X1.0X1.0)	ცალი		4,5 მ³ მიწის ნაზავი
4	ფოთლოვანი ხეები	ცალი	18	
5	წიწვოვანი ხეები	ცალი	4	
6	ბუჩქები	ცალი	4	
7	10 სმ სისქის ნოყიერი მიწის ნაზავის სეტანა და გაშლა ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად ფართობზე	მ³		
8	ჩვეულებრივი გაზონის მოწყობა	მ²		
9	ჩვეულებრივი გაზონის მოვლა	მ²		
10	ახლადჩარგული მცენარეების მორწყვა და გაზონის მორწყვა	მთელი გამწვანებული ტერიტორია		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების სია

1. პრიორიტეტული ხეების სია	2. რეკომენდირებული ხეების სია
 14 აბრეშუმის ანუ ლენქორანის აკაცია / Albizia julibrissini  26 არღავანი, იუდას ხე Cercis siliguastrum	 30 იაპონური სოფორა (ნამყენი) Sophora japonica  14 ჩვეულებრივი იფანი, კოპიტი Fraxinus excelsior  16 ჩვეულებრივი ნუში/amygdalus communis  25 იტალიური ფიჭვი /pinus pinea  28 კვიდო იაპონური Ligustrum japonicum

შენიშვნები:
1.ხეების გასხვლა და ფორმირება მოხდეს აბროტექნიკური ნორმების გათვალისწინებით, სავეგეტაციო

მ.მ. შალვა აფციაური

შენიშვნები:

1. ხეების გასხვლა და ფორმირება მოხდეს აბროტექნიკური ნორმების გათვალისწინებით, სავეგეტაციო პერიოდების დაწყებამდე. (ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე)
2. მოცემული მცენარის შეცვლა შესაძლებელია პროექტის ავტორთან შეთანხმებით.
3. მცენარეთა ჩარგვისას დაცულ იქნას აბროტექნიკის ნორმები.
4. შზრუნველყოფილ იქნას მცენარეთა მორწყვა მთელი სავეგეტაციო პერიოდების განმავლობაში.

მ.მ. შალვა აფციაური

დამკვეთი	ალექსანდრე აფციაური	
შესასრულ		მ. აფციაური

ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)

დენდროპროექტი	2021			
სამუშაოთა მოცულობა	სტადია	ფურცელი	ფურც. რაოდენობა	მასშტაბი
შალვა აფციაურის დასკვნა 24.03.2022				

საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია

	საპროექტო მცენარეები							
	მცენარეთა დასახელება	ღეროს გარშემოწირულობა	ხნოვანება	სიმაღლე	მწვანე ნარგავის სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	რაოდენობა	შენიშვნა
14	აბრეშუმის ანუ ლენქორანის აკაცია / Albizia julibrissini	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	სინათლისა და სითბოს მოყვარული, ნელა მზარდი	4	
14	ჩვეულებრივი იფანი, კოპიტი / Fraxinus excelsior	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	4	
30	იაპონური სოფორა (ნამყენი) / Sophora japonica	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	4	
26	არღავანი, იუდას ხე / Cercis siliguastrum	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	გვალვაგამძლე ნელა მზარდი	4	
16	ჩვეულებრივი ნუში / amygdalus communis	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	საშუალოდ გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	2	
25	იტალიური ფიჭვი / Pinus pinea	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	4	
28	კვიდო იაპონური / Ligustrum japonicum	20 სმ. დან	5-10 წ.	3-5.5 მდე	ფოთლოვანი ხე	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	4	
	ადგილზე არსებული მწვანე ნარგავები: აკაკი 3, კაკალი 1, თხმელა 1, არღავანი (იუდას ხე) 1, სოფორა 1, აკაცია 3, იფანი 1, სულ 12 ძირი					სულ	26	

შენიშვნები:

1.დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი და ურბანული პირობების გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების რეკომენდირებული და პრიორიტეტული ნარგავების სიიდან (განკარგულება **№05.15.147**, 08.02.2018წ.).

2.მოცემული ხე-მცენარის შეცვლა შესაძლებელია პროექტის ავტორთან შეთანხმებით.

3.ხე-მცენარეთა დარგვისას დაცულ იქნას აგროტექნიკის ნორმები.

4.დარგული ნერგების გარშემოწერილობა უნდა იყოს 20 სმ-დან.

5.ხე-მცენარეების დარგვა განხორციელდეს მშენებლობის დასრულების და სამშენებლო ნარჩენებისგან ეზოს გაწმენდის შემდეგ, შენობის ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე არასავეგეტაციო პერიოდში, გვიან შემოდგომაზე ან გაზაფხულის დასაწყისში. დარგვის შემდეგ ხე დამაგრდეს სამ წერტილში, ძარისგან დასაცავად უზრუნველყოფილ იქნას ახლადდარგული ხეების მორწყვა მთელი სავეგეტაციო პერიოდების განმავლობაში, (უნალექო და თბილი ზამთრის პერიოდშიც).

მ.მ. შალვა აფციაური		ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)	
დამკვეთი	ალექსანდრე აფციაური	დენდროპროექტი	2021
შეასრულა	შ. აფციაური	საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია	სტადია / ფურცელი / ფურც. რაოდენობა / მასშტაბი
		შალვა აფციაურის დასკვნა 24.03.2022	



საპროექტო გენ-გეგმა
მწვანე ნარგავების დატანით
მ 1:400

საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 2392 კვ.მ
მესაკუთრე: შ.პ.ს. "გიანთი პალასი" (ს/ნ 405128268)

დარგული ხე
დარგული ბუჩქი
გადარგული ხე
გადარგული ბუჩქი

პირობითი ნიშნები:

- გამწვანება
- საპროექტო შენობიდან 3.0 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო შენობიდან 1.5 მეტრით დაცილებული მანძილი
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ნაკვეთების საზღვრები
- WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს	საცხ. შენობა
ქა	არასაცხ. შენობა
	ფარდული
	მშენებარე შენობა
	სატრანსპორტო ჯიხური
	ხის ღობე
	ღობე
	ქვის კედელი
	კედელი
	ფლატე
	რკინიგზა
თგ	გათბობა
წ	წყალგაყვანილობა
გ	გაზი
კ	კანალიზაცია
სან	სანიაღვრე
კგ	კავშირგაბმულობა
	ელ. ქსელები
	გარე განათება
	სამეთვალყურეო ჭები
	პალმა
	ვაზი
	სურო
	ფოთლოვანი ხე
	ხილკენკროვანი ნარგავი
	წიწვოვანი ხე
	ბუჩქი
	ბალახი
	ძირკვი

მ.მ. შალვა აფციაური
დენდროპროექტი
დამკვეთი
შესრულებულია
შ. აფციაური
საფუძველი
მ.მ. შალვა აფციაურის დასკვნა 24.03.2022

დენდროლოგიური პროექტის
საინფორმაციო დაფა

საპროექტო ტერიტორია: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)

საპროექტო ტერიტორიის ფართი: 2392 მ²
კ3 = 562 მ² კ3 = 0.4

№	დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	რაოდენობა
14	აბრეშუმის ანუ ლენქორანის აკაცია	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
14	ჩვეულებრივი იფანი, კომპტი	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
30	იაპონური სოფორა (ნამყენი)	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
26	არღავანი, იუდას ხე	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
16	ჩვეულებრივი ნუში	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	2
25	იტალიური ფიჭვი	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
28	კვიდო იაპონური	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
ადგილზე არსებული მწვანე ნარგავები: აკაკი 3, კაკალი 1, თხმელა 1, არღავანი (იუდას ხე) 1, სოფორა 1, აკაცია 3, იფანი 1, სულ 12 ძირი			სულ		26

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 03.04.2025

ახლადდარგულ ხე-მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი:
სააქციო საზოგადოება "ლისი ლეიქ დეველოპმენტ" (ს/ნ 404857534)

ახლადდარგულ ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი









მ.მ. შალვა აფციაური			ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)				
დამკვეთი	ალექსანდრე აფციაური		დენდროპროექტი	2021			
შეასრულა	შ. აფციაური		საინფორმაციო დაფა	სტადია	ფურცელი	ფურც. რაოდენობა	მასშტაბი
			შალვა აფციაურის დასკვნა 24.03.2022				

დენდროლოგიური პროექტის
საინფორმაციო დაფა

საპროექტო ტერიტორია: 01.14.15.001.439
მისამართი: ქალაქი თბილისი, "დელისი 3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ზზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/128)

საპროექტო ტერიტორიის ფართი: 2392 მ²
კ3 = 562 მ² კ3 = 0.4

№	დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა	ღეროს ბარძემოყვირშლობა	ხნოვანება	სიმაღლე	რაოდენობა
14	აბრეშუმის ანუ ლენქორანის აკაცია	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
14	ჩვეულებრივი იფანი, კოპიტი	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
30	იაპონური სოფორა (ნამყენი)	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
26	არღავანი, იუდას ხე	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
16	ჩვეულებრივი ნუში	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	2
25	იტალიური ფიჭვი	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
28	კვიდო იაპონური	20 სმ. დან	5-10 წ	3 - 5.5 მდე	4
ადგილზე არსებული მწვანე ნარგავები: აკაკი 3, კაკალი 1, თხმელა 1, არღავანი (იუდას ხე) 1, სოფორა 1, აკაცია 3, იფანი 1, სულ 12 ძირი				სულ	26

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 03.04.2025

ახლადდარგულ ხე-მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი:
სააქციო საზოგადოება "ლისი ლეიქ დეველოპმენტ" (ს/ნ 404857534)

ახლადდარგულ ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი









შპს „გრინლაინი“ LTD "Greenline"

თბილისი/Tbilisi, +995 577 99 55 66 ს/კ 404 541 867 konstantine_k@yahoo.com

გადარგვის სამუშაო

თარიღი: 04.04.2022 წ.

შპს „გიანთი პალასი“-ს საკუთრებაში არსებულ (მიწის საკადასტრო კოდი 01.14.15.001.439) ქ. თბილისი, "დელისი-3-ს" საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/128) ტერიტორიაზე გადარგვის სამუშაოებს შპს „გრინლაინი“ განახორციელებს.

გადარგვა განხორციელდება მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში, ყველა აგროტექნიკური სამუშაოების სრული დაცით.

ხე-მენარეთა გადარგვის 3 წელი მოვლა-პატრონობაზე პასუხისმებელი პირი: მიწის მესაკუთრე.

შემსრულებელი: /ს. ფიცხელაური/

მეტყევე – ინჟინერი

/ექსპერტი/

შ.პ.ს. გრინლაინი 404541867 GREENLINE L.T.D.

შპს გენგეო GENGEO LTD

თბილისი, “დელისი - 3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, მრავალფუნქციური შენობის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

თბილისი 2022

სარჩევი

შესავალი ---------- 3

1. ზოგადი ნაწილი ---------- 4

1.1. გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგია 4

2. სპეციალური ნაწილი ---------- 5

2.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 5

3. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 6

დანართები

ტექნიკური დავალება ———————————— 1 ფ.

კლდოვანი ქანის გამოცდის შედეგები ---------- 2 ფ.

ტოპოგეგმა ———————————————— 1 ფ.

გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები ---------- 2 ფ.

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები ---------- 3 ფ.

შესავალი

შპს "გიანთი პალასი"-ს დაკვეთის საფუძველზე შ.პ.ს. "გენგეო"-ს გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო - გეოლოგიური საგამოკვლევო სამუშაოები, ქ.თბილისი, "დელისი - 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით.

დავალების თანახმად, დასაპროექტებელი შენობა გეგმაში სწორკუთხედთან მიახლოებული ფორმის იქნება, 8 სართულიანი, აქედან 4 სართული ნახევრადსარდაფი, ზომებით მიახლოებით 22X90 მ. სავარაუდო დატვირთვა საყრდენებზე 2500 კნ-მდე, შენობის ტიპი - კარკასული, საძირკვლის სავარაუდო ტიპი – წერტილოვანი ცალკემდგომი საყრდენებზე, ან ლენტური. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II.

გამოკვლეული უბანი განთავსებულია ვაკის ადმინისტრაციულ რაიონში. მას სამხრეთიდან აბულაძის ქუჩა ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან ამაშუკელის ქუჩა, აღმოსავლეთიდან ცარიელი ტერიტორია, დასავლეთიდან არასაცხოვრებელი ნაგებობები.

დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: უბნის საინჟინრო – გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაყვანილია 7 შურფი ექსკავატორის საშუალებით, საერთო სიღრმით 26.0 გრძ/მ. ყველა გამონამუშევრით გახსნილი იქნა კლდოვანი ქანი. აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, რომლებზეც ჩატარდა შესაბამისი კვლევები: კლდოვანი ქანის - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტის ქანების ფიზიკური თვისებების ლაბორატორიაში.

შურფების გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა განხორციელდა "დამკვეთი"-ს მიერ გადმოცემული 1:500 მ. მ-ბის ტოპოგეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ გამონამუშევრები ამოივსო.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2022 წლის თებერვალში.

1. ზოგადი ნაწილი

1.1. გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

გეომორფოლოგია. გამოკვლეული უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს ლისის ქედის სამხრეთი განშტოების ერთ-ერთი სერის სამხრეთ ფერდზე, ხელოვნურად ტერასირებულ რელიეფზე. ფერდის საერთო დახრა ამ ნაწილში საშუალოდ 25^0 – ია, რომელზეც ნაყარი გრუნტის დანაგროვებია განთავსებული. ფერდი კატაკლინური ხასიათისაა, ე.ი. ფერდის დახრა თანხვედრია ფერდის ამგები ქანების ვარდნისა. უბნის აბსოლუტური ნიშნულები 566.0-დან 580.0 - ის ფარგლებში იცვლება.

გეოლოგიური აგებულება. ტექტონიკური თვალსაზრისით უბანი მოთავსებულია ლისის ანტიკლინის სამხრეთ ფრთაზე, რომელიც აგებულია შუა და ზედა ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვებით და სუბარგილიტებით. ქვიშაქვები - ღიანაცრისფერი, რუხი, მსხვილმარცვლოვანი, თიხოვან ცემენტზე, საშუალო სიმტკიცის, თხელი და საშუალო შრეებრივი ქანებია. სუბარგილიტები მუქი მოშავო, თხელშრეებრივი. ისინი ქვიშაქვებს ურთიერთენაცვლებიან. ჭრილში მათი რაოდენობა 60 : 40 შეესაბამება. ქანების ვარდნის აზიმუტი სა 170^0 ვარდნის კუთხე 28 - 32^0. ჭრილის ზედა ნაწილში ისინი ძლიერ დანაპრალიანებული და გამოფიტულები არიან, ქვედაში კი ნაკლებად. ეს ლითოლოგიური სახესხვაობები დაფარულია ნაყარი გრუნტით. საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე უბანზე 0.5-დან – 5.0 მეტრამდეა.

ჰიდროგეოლოგიური პირობები. გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ლისის ქედის სამხრეთი ფერდის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. უბანზე ჩვენს მიერ გაყვანილი ყველა სამთო გამონამუშევარი მშრალი აღმოჩნდა, ხოლო წყლის გამოვლინებას წყაროს ან ნაჟურის სახით ადგილი არ ჰქონია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსიური წვიმების დროს შესაძლებელია ადგილი ქონდეს კლდოვანი ქანის ფენებში წყლის გამოვლინებას, პერიოდულად, ცალკეული ნაჟურების სახით.

2. სპეციალური ნაწილი

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე გამოყოფილია ორი ფენა: ფენა №1 - ნაყარი გრუნტი და ფენა №2 ქვიშაქვები და სუბარგილიტები. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათებები.

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 – ნაყარი გრუნტი – tQ_{IV}- გავრცელებულია მთელ უბანზე. იგი წარმოდგენილია კოშტოვანი თიხნაროვანი მასით, კლდოვანი ქანის ნამსხვრევების, ღორღის, ხვინჭის და სამშენებლო ნაგვის ჩანართებით. ფენის სიმძლავრე 0.5 მ-დან 5.0 მ. - მდეა. ფენა არ დასინჯულა. ფენის მოცულობითი წონა ρ საფონდო მონაცემებით 1.8 გ/სმ^3-ია. ფენა უწყლოა.

ფენა №2 – ქვიშაქვები და სუბარგილიტები P_3^{2-3}- განლაგებულია 0.5 – 5.0 მ. სიღრმიდან. ქვიშაქვები ღიანაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი, თიხოვან ცემენტზე, საშუალოშრეებრივი, სუბარგილიტები მუქი, მოშავო ფერის თხელი და საშუალოშრეებრივი. ისინი ქვიშაქვებთან ურთიერთმონაცვლეობენ. ეს ქანები ზედა ნაწილში ძლიერ დანაპრალიანებული და გამოფიტულია. ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა სფერული ინდენტორების საშუალებით სახსტანდარტის 24941-81 და 5182-84-ის მიხედვით. განსაზღვრულია სიმკვრივე, სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე ჰაერმშრალ და წყალგაჯერებულ პირობებში. გამოთვლილია დარბილების კოეფიციენტი. საშუალო სიმკვრივე ρ - 2,34 გ/სმ^3, სიმტკიცის ზღვრის საშუალო მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ პირობებში Rc – 57.9 კგძ/სმ^2 ტოლია, მინიმალური 57.0 კგძ/სმ^2, რაც სახსტანდარტის 25100-82 ცხრ. 1-ის თანახმად განეკუთვნება ნაკლები სიმტკიცის გრუნტების ნაირსახეობას. გრუნტი დარბილებადია, ყველა მნიშვნელობა ნაკლებია 0,75-ზე.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

საინჟინრო-გეოლოგიური რეკოგნოსცირების და არსებულ მასალების მონაცემების საფუძველზე აღვნიშნავთ შემდეგს:

1. გეომორფოლოგიური და გეოლოგიური ფაქტორების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის თანახმად, განისაზღვრება როგორც II კატეგორიისა, ე.ი. საშუალო სირთულისა.
2. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია განთავსებულია 15^0-ზე მეტი დახრილობის ფერდის ფარგლებში, რაც არახელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს (სეისმურად არახელსაყრელი, სნ და წ II–7–81 პ. 1.5) უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასებისას. ასეთ უბნებზე შენობა-ნაგებობების მშენებლობისას, მიღებული უნდა იქნას ფუძისა და კონსტრუქციების გამაგრების დამატებითი ღონისძიებანი.
3. გრუნტის წყალი უბანზე არ დაფიქსირებულა; თუმცა წვიმების და თოვლის დნობის დროს ღრმა ჩაჭრების შემთხვევაში შესაძლებელია უბნის ჩრდილოეთიდან ადგილი ქონდეს ლოკალურ უბნებზე წყლის გამოვლენას ცალკეული ნაჟურების სახით, ამიტომ პროექტით უნდა გათვალისწინდეს შენობის ჩრდილოეთიდან წყალამრიდი საშუალებები.
4. უბანზე გამოყოფილია 1 საინჟინრო - გეოლოგიური ელემენტი (სგე) ნაყარი ფენა მხედველობაში არ მიიღება: I სგე – ფენა №2 ქვიშაქვები და სუბარგილიტები, რომლის საანგარიშო მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრ.№1-ში:

ცხრილი 1

სგე №№	სიმკვრივე, ρ ტ/მ^3	დრეკადობის მოდ. F კგძ/სმ^2	პუასონის კოეფიციენტი μ	საანგარიშო წინაღობა R კგძ/სმ^2	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე Rc კგძ/სმ^2
I	2.34	11140	0.25	17.0	57.0

5. საძირკვლად შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის გამოყენება.
6. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15

პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით. ქვაბულის ამოღებამდე საჭირო იქნება უბნის ჩრდილოეთის მხრიდან მოეწყოს შპუნტების (ხიმინჯების) რიგი, რათა არმოხდეს ქვაბულის კედლების ჩამოშლა.

7. სნ და წ - "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09) – ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით ქ. თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის ცხრ. №1 – ის, მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

8. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრ. IV-V-ის თანახმად განეკუთნებიან: ფენა №1 – 24ბ, ფენა №2 - 28ბ (VI-VII კატ.)– ს.

ბურღვით-ნატენი ხიმინჯებისათვის გრუნტების კლასიფიკაცია დამუშავების სიძნელის მიხედვით მიღებული იქნას სნ და წ IV-2-82 მე-4 კრებულის 5 და 6 ცხრილებიდან.

9. უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენები, მშენებლობისა და ნაგებობების შემდგომი ექსპლუატაციისათვის არახელსაყრელი პროცესები (მეწყერი, ჩაქცევა, სუფოზიური გამორეცხვა და სხვა.) არ ფიქსირდება. ამდენად დამატებითი დამცავი ღონისძიებების გატარება გარდა აღნიშნულისა არ არის საჭირო.

დასკვნა შეადგინა: ინჟ. გეოლოგი მ. ბაბილოძე



ტექნიკური დავალება
საინჟინრო გეოლოგიური კვლევების წარმოებაზე

1. ობიექტის დასახელება – ქ. თბილისი, “დელისი 3”-ის საცხვორებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ. 01.14.15.001.439; მრავალფუნქციური შენობის პროექტი.
2. დამკვეთი – შპს “გიანთი პალასი”
3. დაპროექტების სტადია – მ.პ.
4. შენობების დახასიათება:
   სართულიანობა – 8 სართული, აქედან 4 სართული ნახევარსადაფი.
   ზომები მიახლოებით: 22.0 X 9.0 მ
5. საძირკვლის ტიპი: - წერტილოვანი ცალკემდგომ საყრდენებზე ან ლენტური.
6. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II
7. სავარაუდო დატვირთვა საყრდენებზე - 2500 კნ - მდე.

დანართი: უბნის ტოპო-გეგმა 1:200 მ.

1. ანგარიში წარმოდგენილია 3 გვერდზე და შეიცავს 5 ცხრილს.
2. სინჯის წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა შეკუმშვაზე ;
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა შეკუმშვაზე;
4. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიში მომზადებულია სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილების საგამოცდო ლაბორატორიაში ქანების-გრუნტების მექანიკის მიმართულებით 52 წლის და ბეტონების მიმართულებით 18 წლის სტაჟის მქონე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის გიორგი ბალიაშვილის მიერ.

კვლევის შედეგებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას.

ცხრილი 1 საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	შურფის №	სიღრმე, მ	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა შეკუმშვაზე გამომშრალ მდგომარეობაში, კგძ/სმ²	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა შეკუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში, კგძ/სმ²	დარბილების კოეფიციენტი	დრეკადობის მოდული, (წყალნაჯერი ნიმუშები), კგძ/სმ²	სიმკვრივე, გ/სმ³
1	ქვიშაქვა	1	3,0	101,4	57,9	0,57	11140,5	2,34

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	ნაკლებად მტკიცე[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი

შენიშვნა: 1– შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეოთხე რეიტინგის; 2-ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.

ცხრილი 3- სიმკვრივე

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის						
	№	მასა, გ			მოცულობა, სმ³		სიმკვრივე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	40,40	45,39	45,39	3,42	17,19	2,35
	2	41,25	45,39	45,39	3,44	17,70	2,33

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის									
	№	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი, სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგძ	სიმტკიცე, კგძ/სმ²	დრეკადობის მოდული, კგძ/სმ²	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	3,45	3,44	3,44	11,87	0,80	1565	105,5		გამომშრალი
	2	3,48	3,49	3,49	12,15	0,80	1540	101,4		
	3	3,44	3,44	3,43	11,83	0,80	1445	97,7		
	4	3,43	3,43	3,43	11,76	0,80	1485	101,0		
	5	3,50	3,51	3,51	12,29	0,80	875	57,0		წყალნაჯერი
	6	3,49	3,48	7,01	12,15	1,00	715	58,9	11162,2	
	7	3,48	3,48	3,48	12,11	0,80	875	57,8		
	8	3,43	3,44	6,98	11,80	1,00	685	58,1	11118,8	

ცხრილი 5-ნიმუშების გამოცდა დეფორმაციაზე

ნიმუში # 1.6			ნიმუში # 1.8		
F	I	II	F	I	II
0	0	0	0	0	0
70	2	3	60	2	1
140	3	5	120	4	3
210	7	8	180	5	4
280	11	11	240	8	7
350	15	14	300	11	10
420	19	18	360	14	13
490	23	22	420	18	16
560	27	26	480	22	19
630	32	31	540	26	22
700	38	37	600	31	26
715	48	47	660	37	31
			685	46	40

შენიშვნა: F-ძალა, კგძ; I და II საათის ტიპის ინდიკატორის ჩვენება, დანაყოფი (ერთი დანაყოფი=0,01მმ-ს).

სიტუაციური გეგმა

C:\Users\Dato\Desktop\REGISTRACIEBI.jpg

შ.პ.ს. "ჯითი სარვეი"

საიდ.კოდი 400224681

ქ.თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქ №4 II სართული,ოფისი №4

მობ: +995 598 30-20-15 +995 599 53-15-15

Info@gtsurvey.ge Gtsurvey@yahoo.com

www.facebook.com/GTSURVAY1

C:\Users\Dato\Desktop\REGISTRACIEBI.jpg

ქ.თბილისში „დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ,
ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით(ნაკვეთი$\frac{1}{128}$)-ში
შ.პ.ს „გიანთი პალასი"-ის
საკუთრებაში არსებული 2392 მ.კვ (ს/კ 01.14.15.001.439)
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

ტოპოგრაფიული რუკა

თარიღი: 27.08.2021



ნაკვეთის ფართობი: 2392 მ
სერვიტუტის ფართობი: 000 მ

პირობითი აღნიშვნები

მიწისქვეშა კომუნიკაციები

- კანალიზაცია
- დენის კაბელი
- გაზის მილი
- წყლის მილი
- კავშირგაბმულობა

- ნაკვეთის საზღვარი
- შენობა
- არკა
- ფარდული
- სერვიტუტი
- კიბე
- ფოთლოვანი ხე
- წიწვოვანი ხე
- ხეხილის ხე
- პალმა
- ბუჩქი
- გაზონი
- სამეთვალყურეო ჭები
- ძეგლი
- შადრევანი
- ონკანი
- წყარო ან ჭა
- ბენზინგასამართი სადგური
- მადალი ძაბვის გადამცემი
- გეგმურ სიმაღლური წერტილი (რპ)
- ხეების რიგი
- ტრანსფორმატორი
- რადიო ან ტელე ანძა
- ლამპიონები
- ელექტრო ბოძი
- რკინიგზა
- იზოპიფსი
- მთავარი იზოჰიფსი
- რკინის ღობე
- ბორდიური
- ბეტონი
- კედელი
- საყრდენი კედელი
- ბილიკი
- გზის კონტური
- ფლატე
- წყლის კონტური

ტოპოგრაფიული რუკა: გაკეთებულია საქართველოს მუდმივმოქმედი Geo-Cors-ის ჯიპიეს რეფერენსირებულ ქსელზე დაყრდნობით.
სახელმწიფო კოორდინატთა სისტემა: WGS 1984 წლის, UTM პროექცია, სიმაღლური სისტემა: კრასნოვოდსკი 1977 წლის ბალტიის ზღვის სიმაღლე
ტოპოგრაფიული რუკა მ 1:500 / რელიეფის კვეთა 0.5მ

(მიწისქვეშა კომუნიკაციები დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ბაზაზე დაყრდნობით,ჭრილობის დაწყების წინ გამოძახილი იქნას შესაბამისი მიწისქვეშა კომუნიკაციების წარმომადგენელი)

დირექტორი		ბ. ხაჩიძე
გეოდეზისტი კომპ. უზრუნველყოფა		ი.მანჯგალაძე
გეოდეზისტი კომპ. უზრუნველყოფა		ი.მანჯგალაძე
დამკვეთი		



შურფი №6

578.4

სტრატიგრაფიული ინდ	ფენის №	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის აბს. მ	ჭრილი	კონსისტენცია	მიწისქვეშა წყლის დონე,მ	
		დან	მდე					გაზომვის თარიღი	
								გამოვლ.	დამყარ.
tQIV	1	0.0	5.0	5.0	573.4				
P3^2-3	2	5.0	6.0	1.0	572.4				

შურფი №7

578.3

სტრატიგრაფიული ინდ	ფენის №	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის აბს. მ	ჭრილი	კონსისტენცია	მიწისქვეშა წყლის დონე,მ	
		დან	მდე					გაზომვის თარიღი	
								გამოვლ.	დამყარ.
tQIV	1	0.0	1.5	1.5	576.8				
P3^2-3	2	1.5	3.0	1.5	575.3				

პირობითი აღნიშვნები

1 — ნაყარი გრუნტი

2 — გამოფიტული ქვიშაქვების და სუბარბილიტების მორიგეობა

შპს "გენგეო"			სტადია
ქ.თბილისი, "დელისი-3"-ის საცხოვრებელ რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის ბუნის სამხრეთით, ს.კ. 01.14.15.001.439			მ.პ.
მრავალფუნქციური შენობის პროექტი			
გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები			
თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ფურცელი
გეოლოგი		ბაბილოძე	2
			ფურც.რაოდ.
			5
			მასშტაბი
			1:100 მ.



Экспликация инженерно-геологических элементов

1 Насыпной грунт

2 Суглинок тугопластичный с прослоями супеси пластичной и песка пылеватого

Таблица "Физико-механические характеристики грунтов"			
Наименование грунтов, нормативные и расчетные значения характеристик, обозначения, единицы измерения			№ элемента
Суглинок тугопластичный с прослоями супеси пластичной и песка пылеватого			2
Природная влажность	д.ед.	0,14-0,22	2
Плотность грунта	г/см³	1,98	2
Плотность сухого грунта	г/см³	1,74	2
Коэффициент пористости		0,56	2
Удельное сцепление	кПа	24	2
Угол внутреннего трения	град.	19	2
Модуль деформации	МПа	12	2



Разрез II - II′

h
l

Экспликация инженерно-геологических элементов

1 Глина твердая

2 Суглинок тугопластичный с прослоями и линзами песка пылеватого

Ведомость объемов работ

Наименование работ	Ед. изм.	Количество
Бурение скважин диаметром 108-127 мм, глубина до 30 м, 1 категория грунтов	100 м	1,14
Отбор проб грунта	1 проба	5
Лабораторные исследования грунтов	1 проба	5
Составление технического отчета	1 отчет	1



Разрез III - III′

б
ь

Экспликация ИГЭ

1 Глина легкая пылеватая

2 Песок средней крупности средней плотности маловлажный

Геологический индекс	Вид грунта	Нормативное значение	Расчетное значение
tQ₄lv	Глина легкая пылеватая	0.25	0.25
P2-3	Песок средней крупности средней плотности маловлажный	0.25	0.25

Условные обозначения	Наименование	Примечание
	Граница между ИГЭ достоверная	
	Граница между ИГЭ предполагаемая	
	Граница между ИГЭ по данным прошлых лет	
	Граница между ИГЭ по данным прошлых лет предполагаемая	
	Скважина колонковая	
	Скважина ударно-канатного бурения	
	Скважина ручного бурения	
	Скважина шнекового бурения	
	Скважина вибрационного бурения	
	Скважина ударно-вращательного бурения	
	Скважина ударно-канат

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ.თბილისში, "დელისი - 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით, სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

შპს "გიანთი პალასი"-ს ხელმძღვანელობის დაკვეთის საფუძველზე, ჩვენს მიერ 2022 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ.თბილისში, "დელისი - 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეო-ლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, "დელისი - 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გენგეო"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2022 წლის თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი მ. ბაბილოძე. მის მიერ ვიზუალურად იქნა შესწავლილი საკვლევი ტერიტორია, მოძიებული და დამუშავებულია რაიონის შესახებ არსებული კვლევების მასალები. აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, რომლებზეც ჩატარდა შესაბამისი კვლევები კლდოვანი ქანის - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტის ქანების ფიზიკური თვისებების ლაბორატორიაში, გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 5 გვ;
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ;
3. ძირითადი ქანების კვლევის შედეგები ---------- 2 გვ;
4. უბნის ტოპოგეგმა გამონამუშევრების დატანით ----------1 ფურც;
5. შურფების ლითოლოგიური ჭრილები---------- 2 ფურც;
6. უბნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 3 ფურც.

დავალების თანახმად, დასაპროექტებელი შენობა გეგმაში სწორკუთხედთან მიახლოებული ფორმის იქნება, 8 სართულიანი, აქედან 4 სართული ნახევრადსარდაფი, ზომებით მიახლოებით 22X90 მ. სავარაუდო დატვირთვა საყრდენებზე 2500 კნ-მდე, შენობის ტიპი - კარკასული, საძირკვლის სავარაუდო ტიპი – წერტილოვანი ცალკემდგომი საყრდენებზე, ან ლენტური.

გამოკვლეული უბანი განთავსებულია ვაკის ადმინისტრაციულ რაიონში. მას სამხრეთიდან აბულაძის ქუჩა ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან ამაშუკელის ქუჩა, აღმოსავლეთიდან ცარიელი ტერიტორია, დასავლეთიდან არასაცხოვრებელი ნაგებობები. უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს ლისის ქედის სამხრეთი განშტოების ერთ-ერთი სერის სამხრეთ ფერდზე, ხელოვნურად ტერასირებულ რელიეფზე. ფერდის საერთო დახრა ამ ნაწილში საშუალოდ 25^0–ია, რომელზეც ნაყარი გრუნტის დანაგროვებია განთავსებული. ფერდი კატაკლინური ხასიათისაა, ე.ი. ფერდის დახრა თანხვედრია ფერდის ამგები ქანების ვარდნისა. უბნის აბსოლუტური ნიშნულები 566.0-დან 580.0მ-ის ფარგლებში იცვლება. ტექტონიკური თვალსაზრისით უბანი მოთავსებულია ლისის ანტიკლინის სამხრეთ ფრთაზე, რომელიც აგებულია შუა და ზედა ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვებით და სუბარგილიტებით. ქვიშაქვები - ღიანაცრისფერი, რუხი, მსხვილმარცვლოვანი, თიხოვან ცემენტზე, საშუალო სიმტკიცის, თხელი და საშუალო შრეებრივი ქანებია. სუბარგილიტები მუქი მოშავო, თხელშრეებრივი. ისინი ქვიშაქვებს ურთიერთენაცვლებიან. ჭრილში მათი რაოდენობა 60 : 40 შეესაბამება. ქანების ვარდნის აზიმუტი სა 170^0 ვარდნის კუთხე 28 - 32^0. ჭრილის ზედა ნაწილში ისინი ძლიერ დანაპრალიანებული და გამოფიტულები არიან, ქვედაში კი ნაკლებად. ეს ლითოლოგიური სახესხვაობები

დაფარულია ნაყარი გრუნტით. საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე უბანზე 0.5-დან – 5.0 მეტრამდეა.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად და ჰიდროგეო-ლოგიური პირობების შესაფასებლად დათვალიერებულია უბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაყვანილია 7 შურფი, საერთო სიგრძით 26.0 გრძ.მ. ყველა გამონამუშევრით გახსნილი იქნა კლდოვანი ქანი, აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, რომლებზეც ჩატარდა შესაბამისი კვლევები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში, გამოყოფილი იქნა შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი – tQ_{IV}- გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე. იგი წარმოდგენილია კოშტოვანი თიხნაროვანი მასით, კლდოვანი ქანის ნამსხვრევების, ღორღის, ხვინჭის და სამშენებლო ნაგვის ჩანართებით. ფენის სიმძლავრე 0.5 - დან 5.0 მ - მდეა. ფენა არ დასინჯულა. ფენის სიმკვრივე ρ საფონდო მონაცემებით 1.8 გ/სმ^3. უწყლოა.

2. ფენა 2 – სგე I – ქვიშაქვები და სუბარგილიტები eP_3^{2-3} განლაგებულია დედამიწის ზედაპირიდან 0.5-5.0 მ. სიღრმიდან. წარმოდგენილია ღიანაცრისფერი მსხვილმარცვლოვანი, თიხოვან ცემენტზე, საშუალოშრეებრივი, სუბარგილიტები მუქი, მოშავო ფერის თხელი და საშუალოშრეებრივი. ისინი ქვიშაქვებთან ურთიერთმონაცვლეობენ. ეს ქანები ზედა ნაწილში ძლიერ დანაპრალიანებული და გამოფიტულია.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების საანგარიშო მაჩვენებლებია:

სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2.34
დრეკადობის მოდული	E	კგძ/სმ^2	11140
საანგარიშო წინაღობა	Ro	კგძ/სმ^2	17.0
პუასონის კოეფიციენტი	μ		0.22

სიმტკიცის ზღვრის საშუალო მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ პირობებში Rc – 57.0 კგძ/სმ^2

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი უბანზე არ დაფიქსირებულა, თუმცა წვიმების და თოვლის დნობის დროს ღრმა ჩაჭრების შემთხვევაში შესაძლებელია უბნის ჩრდილოეთიდან ადგილი ქონდეს ლოკალურ უბნებზე წყლის გამოვლენას ცალკეული ნაჟურების სახით, ამიტომ პროექტით უნდა გათვალისწინდეს შენობის ჩრდილოეთიდან წყალამრიდი საშუალებები.

მშენებლობის ტერიტორია ზოგადი სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.17. სეისმური თვისებების მიხედვით, უბნის ამგები გრუნტები განეკუთნებიან II კატეგორიას.

უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენები, მშენებლობისა და ნაგებობების შემდგომი ექსპლუატაციისათვის არახელსაყრელი პროცესები (მეწყერი, ჩაქცევა, სუფოზიური გამორეცხვა და სხვა.) არ ფიქსირდება. თუმცა, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია განთავსებულია 15^0-ზე მეტი დახრილობის ფერდის ფარგლებში, რაც არახელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასებისას. ასეთ უბნებზე შენობა-ნაგებობების მშენებლობისას, მიღებული უნდა იქნას ფუძისა და კონსტრუქციების გამაგრების დამატებითი ღონისძიებანი. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს: გეომორფოლოგიური და გეოლოგიური ფაქტორების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულე განისაზღვრება როგორც II – საშუალო სირთულის. უბანზე გამოყოფილია I საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე): I სგე – ფენა №2 – ქვიშაქვები და სუბარგილიტები, მასზე დასაპროექტებელი სახლის დაფუძნება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის საძირკვლით. ქვაბულის ამოღებამდე საჭირო იქნება უბნის ჩრდილოეთის მხრიდან

შპუნტების (ხიმინჯების) რიგის მოწყობა, რათა არ მოხდეს ქვაბულის კედლების ჩამოშლა.

დასკვნა

ქ.თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, 8 სართულიანი, აქედან 4 სართული ნახევრადსარდაფით, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი, პროფესორი: /ია მშვიდობაძე/



CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის №57, ბ.7;
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებული მაქვს **25 სამეცნიერო შრომა**; **სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ №064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში შპს ალდა ჯგუფის საკუთრებაში არსებულ №035/796 ნაკვეთზე მრავალსართულიანი (მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის პროექტის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში"; "ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ.№ 20-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში და დასკვნა-რეკომენდაციები"; "ბათუმში მელიქიშვილის ქ.90-ში ს/კ05.27.46.023 7 სართულიანი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის საექსპერტო დასკვნა"-2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ „ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჭიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვ. №01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; „ქ.თბილისში, ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ, საცხოვრებელი კომპლექსი "ოდა"-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში" 2018წ;"ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.№90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ.ქ.თბილისში, ლისის ტბასა და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2019; „ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019;"ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში, აეროპორტის გზატკეცილი 241ა (ს/კ 05.32.24.074) 4 სართულიან სასტუმროზე 2 სართული დამენებისა და 2 მ სიგანის ფართის მიშენებისათვის სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები"2019. საექსპერტო შეფასება ანგარიშზე: „საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. №16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. „ ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №15-ში, ნაკვ. №86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

Georgia IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ია
IA

გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მდ / F	01024023058

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
21.10.1962	02.11.2022

ბარათის No / CARD No
12IB83718

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
02.11.2012

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 01/12
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

```
IDGE012IB83718501024023058<<<<
6210216F2211020GEO<<<<<<<<<<<3
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<
```

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის სექტემბერი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის

G 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით

(ოქმი № 3 28.05.2003)

მიენიჭა მშვილდობაძეს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გასცა საქართველოს სწავლული ექსპერტების საბჭომ

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003

Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences

By decision of the Dissertation Board G 04 06 №5

(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES

Geological - Mineralogical 04.00.07,

WAS CONFERRED ON

Ia Mshvidobadze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Exsperts G. Kharadze

დიპლომი

ЛВ № 055149

ეს დიპლომი მიეცა [illegible]

[illegible]

მასზე, რომ იგი 1979 წელს შევიდა

[illegible]

[illegible]

და 1984 წელს [illegible]

[illegible]

[illegible]

სრული კურსი [illegible]

[illegible]

[illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ.

„28" [illegible] გადაწყვეტილებით

[illegible] მიენიჭა [illegible]

[illegible]

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984 „1" X

სარეგისტრაციო № 1677

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан Мшвидобадзе Н[illegible] [illegible]евне

в том, что она в 1979 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1984 году окончила полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „28" июня 1984 г.

Мшвидобадзе Н. И.

присвоена квалификация инженера строителя.

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „1" X 1984 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Гознака. 1983.

პასუხი შენიშვნაზე: ქ. თბილისი, "დელისი – 3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ს.კ.01.14.15.001.439, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების დასკვნაზე

შენიშვნა

1. ვინაიდან წარმოდგენილ საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშში არ არის ნახსენები, რომ "ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება 2019 წლის" მიხედვით საკვლევი ტერიტორია მოქცეულია მაღალი გეოდინამიკური რისკის ზონაში და მითუმეტეს თუ სამშენებლო მოედანი უნდა განთავსდეს ისეთ ვითარებაში, სადაც ფერდი კატაკლინური ხასიათისაა, ესეიგი ფერდის დახრა თანხვედრილია ფერდის ამგები ქანების ვარდნის, საჭიროა განიმარტოს თუ რაიმე დამატებითი სხვა დამცავი ღონისძიებების გატარება კიდევ ხომ არ არის საჭირო.

პასუხი

1. დასკვნების 6 პუნქტში აღნიშნულია რომ ქვაბულის ამოღებამდე საჭიროა უბნის ჩრდილოეთის მხრიდან მოეწყოს ხიმინჯების რიგი (რაც გათვალისწინებულია პროექტით). ჩვენს შემთხვევაში (ფერდის სიგრძე საშუალოდ 25 მ, ნიშნულებს შორის სხვაობა საშუალოს 10 მ, ფერდის საერთო დახრა 25^0, კლდოვანი ქანის ფენების ვარდნის კუთხე 30^0) ხიმინჯების მოწყობის შემდეგ ფერდის მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება.

ამდენად დამატებითი დამცავი ღონისძიებების გატარება გარდა აღნიშნულისა არ არის საჭირო.

ინჟ.გეოლოგი მ. ბაბილოძე



01.14.16.015.288
01.14.16.015.099
01.14.15.001.439
01.14.15.001.213

შპს „გრინლაინი“ LTD "Greenline"

თბილისი/Tbilisi, +995 577 99 55 66 ს/კ 404 541 867 konstantine_k@yahoo.com

15.03.2022წ.

მისამართი: ქ. თბილისი, დელისი 3 ის საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით.
საკადასტრო კოდი: 01.14.15.001.439

ფართობი: 2392 კვ.მ.

დამკვეთი: შ.პ.ს. „გიანთი პალასი“

I.D. N 405128268;

გადასარგავი დიდტანიანი (d > 25 სმ) მცენარეთა რაოდენობა: 6

დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი

შესავალი:

დოკუმენტში მოცემულია ქალაქი თბილისი, დელისი 3 ის საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით რეგისტრირებულ ს/კ 01.14.15.001.439 მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტის ფარგლებში 6 ძირი დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე) ხე-მცენარის გადარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის სამუშაოების ჩატარების მეთოდური მითითებები და დასაცავი პირობები. აღნიშნული 2 ძირი დიდტანიანი ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია შ.პ.ს. „ გრინლაინი“–ს მიერ საექსპერტო დასკვნით. მცენარეები

გადაირგვება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, სადაც ისინი ამჟამად მდებარეობენ (ს/კ.01.14.15.001.439). გადარგვის სამუშაოები ჩატარდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში. გადასარგავი ხე–მცენარეებია 25 სმ-ზე ნაკლები #6, N9, N10, N11, N12, N13.

ნიადაგის მომზადება:

გადასარგავად ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ასევე უნდა მოხდეს დასარგავი ადგილის განთავისუფლება სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით.

ხე-მცენარის ამოღება:

გადასარგავი ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს: დიამეტრი - ფესვის ყელთან არსებული ღეროს დიამეტრის არანაკლებ შვიდმაგი ოდენობით;

სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-მდე;

კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან, რათა არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა;

ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება;

ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილობი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.);

მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან. შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან;

გადარგვისას ფოთლოვანი სახეობის ხე–მცენარეებზე ხორციელდება სხვლა–ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების

დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება, გარდა ამისა მცენარის გასხვლა ხელს უწყობს გადარგვის შემდგომი სტრესის დაძლევას და ადგილმდებარეობის შეცვლისას ახალი გარემოსადმი შეგუებას;

ხე–მცენარის გადარგვა:

გადარგვის დანიშნულების წერტილი უნდა იყოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით;

გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს გადასარგავი ორმო, რომელსაც გადასარგავი კომის ზომებთან შედარებით სასურველია ჰქონდეს 0.5-0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე;

ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;

ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;

თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი).

ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;

ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით ისე, რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს;

ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან;

ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;

ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა :

ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;

ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;

მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება;

მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;

დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;

განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან;

შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;

გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;

გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

შემსრულებელი: / ს. ფიცხელაური /

მეტყევე – ინჟინერი,

/ექსპერტი /










5






8








12







